	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ყავის მოსამზადებელი აპარატი და მოწყობილობები	3,737,447	3,649,990	3,737,447	3,649,990
ნედლეული და მასალები	3,089,558	2,401,600	2,606,336	2,040,468
მზა პროდუქცია	2,282,334	400,975	2,222,200	374,075
სხვა	1,267,054	885,540	1,163,822	809,845
	10,376,392	7,338,105	9,729,804	6,874,378

8. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ჯგუფმა/კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდით. შედეგად ჯგუფმა/კომპანიამ წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის, როგორც საგადასახადო აქტივი. საგადასახადო აქტივი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფისთვის შეადგენს 105,780 და 94,904 ლარს, ხოლო კომპანიისთვის 93,215 და 98,679 ლარს, შესაბამისად.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური მოთხოვნები				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,637,361	414,154	3,490,877	1,338,334
სხვა მოთხოვნები	45,384	12,982	43,691	16,233
არაფინანსური მოთხოვნები				
გადახდილი ავანსები	1,829,132	2,140,031	1,829,132	2,140,031
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(481,828)	(231,652)	(481,828)	(231,652)
	3,030,049	2,335,515	4,881,872	3,262,946

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	15,693	99,402	9,908	80,156
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	532,582	592,261	236,828	526,503
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	12,844	26,750	12,831	26,666
	561,119	718,413	259,567	633,325

11. მიღებული სესხები

	ვალუტა	დაფარვს ვადა	საპროცენტო განაკვეთი	ჯგუფი/კომპანია	
				31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი					
სს „საქართველოს ბანკი“ #6375870	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	-	8,653,200
სს „საქართველოს ბანკი“ #6078516	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	-	9,230,080
სს „საქართველოს ბანკი“ #6078542	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	-	8,941,640
სს „საქართველოს ბანკი“ #6652982	ევრო	25-01-2024	7%	-	535,591
სს „საქართველოს ბანკი“ #7318771	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	-	331,706
				-	27,692,217
მოკლევადიანი					
Adloop	ევრო	6/3/2023		-	351,917
სს „საქართველოს ბანკი“ #6375870	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	8,925,900	-
სს „საქართველოს ბანკი“ #6078516	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	9,520,960	-
სს „საქართველოს ბანკი“ #6078542	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	9,223,430	-
სს „საქართველოს ბანკი“ #6652982	ევრო	25-01-2024	7%	552,470	-
სს „საქართველოს ბანკი“ #7318771	ევრო	22-01-2024	Euribor + 7%	342,159	-
				28,564,919	351,917
				28,564,919	28,044,134

მეამა ჯგუფი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	3,285,619	3,352,980	2,319,332	2,683,206
გადასახდელი ხელფასები	406,131	413,395	378,610	380,683
	3,691,750	3,766,375	2,697,942	3,063,889
არაფინანსური ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	1,570,390	178,745	1,570,390	178,745
	1,570,390	178,745	1,570,390	178,745
	5,262,140	3,945,120	4,268,332	3,242,634

13. ამონაგები

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
შემოსავალი საცალო რეალიზაციიდან	8,054,978	7,599,813	5,940,383	5,409,439
შემოსავალი იურიდიულ პირებზე რეალიზაციიდან	5,452,152	7,339,622	6,282,342	7,909,660
ექსპორტით რეალიზაცია	627,940	30,687	627,940	30,687
საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(33,378)	(48,295)	(33,378)	(48,294)
	14,101,692	14,921,827	12,817,287	13,301,492

14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
ხარჯი საცალო რეალიზაციიდან	(3,090,079)	(6,182,830)	(1,906,319)	(5,189,896)
ხარჯი იურიდიულ პირებზე რეალიზაციიდან	(1,278,690)	(7,004,294)	(2,103,487)	(7,568,926)
ხარჯი ექსპორტით რეალიზაციიდან	(357,882)	(29,365)	(357,882)	(29,365)
	(4,726,651)	(13,216,489)	(4,367,688)	(12,788,187)

15. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(2,559,046)	(3,821,008)	(1,868,536)	(3,011,169)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(1,922,690)	(1,927,202)	(1,596,825)	(1,584,531)
მარკეტინგული მომსახურება	(670,270)	(1,212,721)	(626,790)	(1,159,367)
სხვა	(483,548)	(287,023)	(377,259)	(284,501)
	(5,635,554)	(7,247,954)	(4,469,410)	(6,039,568)

მეამა ჯგუფი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(2,544,918)	(3,710,056)	(2,489,566)	(3,580,227)
პროფესიული მომსახურება	(1,854,214)	(800,973)	(1,847,450)	(800,973)
პროგრამული უზრუნველყოფა	(1,808,180)	(635,708)	(1,787,947)	(615,234)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,725,114)	(1,473,976)	(1,686,816)	(1,473,976)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(516,292)	(832,679)	(506,740)	(820,839)
სამეურნეო ხარჯები	(333,666)	(502,547)	(266,047)	(442,561)
რემონტი	(333,196)	(300,005)	(137,155)	(122,564)
კომუნალური ხარჯები	(256,915)	(530,467)	(222,409)	(478,140)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(250,176)	(231,652)	(250,176)	(231,652)
დაზღვევა	(201,676)	(171,715)	(171,924)	(130,447)
თანამშრომელთა კვება	(138,668)	(485,868)	(138,668)	(485,868)
მივლინება	(144,683)	(264,542)	(126,493)	(227,857)
კომუნიკაციის ხარჯები	(141,087)	(125,454)	(124,141)	(110,080)
საპენსიო ხარჯები	(122,891)	(169,365)	(103,948)	(147,940)
ბანკის საკომისიო	(91,516)	(210,374)	(54,639)	(164,424)
საოფისე ხარჯები	(24,374)	(45,543)	(24,037)	(45,543)
იჯარა	(6,763)	(14,616)	-	-
სხვა	(356,349)	(593,088)	(312,247)	(536,257)
	(10,850,678)	(11,098,627)	(10,250,403)	(10,414,582)

17. ფინანსური ხარჯი

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
სს „საქართველოს ბანკი“	(2,761,264)	(2,170,407)	(2,761,264)	(2,170,407)
Adloop	(1,290)	(20,216)	(1,290)	(20,216)
	(2,762,554)	(2,190,623)	(2,762,554)	(2,190,623)

18. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(12,246)	(106,958)	(12,138)	(106,672)
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	(919,021)	6,047,252	(919,020)	6,047,504
	(931,267)	5,940,294	(931,158)	5,940,832

19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის/კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს/კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს/კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის/კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სამართლებრივი დავები - დროდადრო, ნორმალური საოპერაციო ციკლის ფარგლებში, ჯგუფი/კომპანია ღებულობს ხოლმე საჩივრებს მოქალაქეებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მიიღებს არსებით ალურიცხავ დანაკარგებს, შესაბამისად, არ აღიარებს მოსალოდნელ ზარალს ამ საკითხთან მიმართებით.

მეამა ჯგუფი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

უმადლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი/კომპანია	
	2023	2022
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	351,746	170,652

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული სესხები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ სს საქართველოს ბანკისგან აიღო ჯამურად 27,783,360 ლარის სესხი.

საწესდებო კაპიტალის ცვლილება

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიის დამფუძნებლებმა კაპიტალი შეავსეს 11,845,038 ლარით

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი/კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი/კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ჯგუფის/კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი/კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

22. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურება

ჯგუფი/კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი/კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი/კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი/კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი/კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან/კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი/კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ჯგუფი/კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

მეამა ჯგუფი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობა-ნაგებობები	20-30
მანქანა-დანადგარები	5-20
აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	8
სატრანსპორტო საშუალებები	8

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საოპერაციო და საბუღალტრო პროგრამა	5 - 25
სხვა	5 - 25

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც ჯგუფი/კომპანია საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს: პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ცვეთის ანარიცხებს, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯებს, და, საერთოდ, ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

ჯგუფი/კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ჯგუფი/კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის/კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის/კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესვებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-ფიზიკურ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი/კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი/კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა/კომპანიამ დასაქმებულისგან.

საიჯარო ხარჯი

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროცენტო ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის/კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებადი ინვესტირებული საწარმო. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და, ასევე, ამ შემოსავლებზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შვილობილის ფინანსურ ანგარიშგებებს მათი (შვილობილების) კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის დამთავრების თარიღამდე.

კომპანია სრულად იღებს შვილობილი კომპანიის შემოსავლებს და აკონტროლებს მის წმინდა აქტივებსა და საოპერაციო აქტივობებს.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან/კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან/კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში/კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს/კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში/კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან/კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის/კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი/კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან/კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

მეამა ჯგუფი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

22. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის/კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის/კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შეამა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

შეამა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. საკმანძოების მიმოხილვა

მეამა საქართველოში ყავის ახალ ერას ქმნის. ის მომხმარებელს ყავის მიღების განსხვავებულ გამოცდილებას უზიარებს. საინტერესოა მეამას შენობის არქიტექტურაც, რომელიც აერთიანებს, როგორც საწარმოო, ასევე სამუშაო სივრცეებს და ზუსტად იმეორებს ბრენდის ფილოსოფიას. მეამას შენობამ არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსში მოიპოვა გამარჯვება, მათ შორის 2020 წელს დასახელდა მსოფლიოში საუკეთესო სამუშაო სივრცედ.

მეამას სათაო ოფისის მშენებლობა 2016 წელს დაიწყო და მშენებლობის პარალელურად, მიმდინარეობდა ყავის ტექნოლოგიების საერთაშორისო მასშტაბით გადამზადება და საწარმოს ევროპული დანადგარებით აღჭურვა.

მსოფლიოს 18 ქვეყნიდან ჩამოტანილი მაღალი ხარისხის მწვანე მარცვლებით მეამას მაღალტექნოლოგიურ საწარმოში ყავის ტექნოლოგიები უნიკალური რეცეპტებით (თითოეული მათგანი ჯგუფის/კომპანიის ინტელექტუალური საკუთრებაა) ქმნიან სხვადასხვა სახეობის ბლენდს, რომელიც შემდეგ ჰერმეტიკულად დაცულ ყავის კაფსულებში თავსდება.

მეამა აწარმოებს 16 სახეობის ევროპული (37მმ) და 16 სახეობის ამერიკული (51მმ) ფორმატის ყავის კაფსულებს, 9 სხვადასხვა გემოს ჩაის კაფსულებს და 4 სახეობის ნალექიან ყავას. მეამას პროდუქტებს აღებული აქვს The Food Safety System Certification (FSSC 22000) და Bio organic სერთიფიკატები.

ყავის მოყვარულებს მეამა გაყიდვის ინოვაციურ არხებს და მომხმარებელზე ორიენტირებულ მომსახურებას სთავაზობს. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მეამას პროდუქცია შეიძინოს მისთვის ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილას, იქნება ეს ჯგუფის/კომპანიის ბრენდული სივრცეები, ელექტრონული კომერციის პლატფორმა, ქოლ ცენტრი, თუ გარე გაყიდვის არხები (Glovo, Wolt, Bolt).

B2B სექტორისთვის მეამას ინჟინრების მიერ შეიქმნა თანამედროვე ვენდინგ აპარატი - **დროფერი და მინი დროფერი**, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. აპარატი მარტივად, აპლიკაციიდან QR კოდის დასკანერებით ან ინტეგრირებული პანელით იმართება. ორივე მოწყობილობა საუკეთესო შეთავაზებაა ბიზნესისთვის და საკმაოდ მოთხოვნილია დიდი თუ მცირე ოფისებში.

მეამას მრავალფეროვანი შეთავაზებები აქვს ასევე ჰორეკა სექტორისთვისაც მთელი საქართველოს მასშტაბით და აქტიურად თანამშრომლობს მათთან კვალიფიციური სერვისის და პროდუქციის უწყვეტი მიწოდების გამარტივებული შეთავაზებით.

მეამამ შექმნა ე.წ. Take Away კონცეპციის სავაჭრო ობიექტი - შვილობილი კომპანია **მეამა ქოლექტი**, სადაც მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მეამას ყავისა და ჩაის გარდა, დააგემოვნოს მათ ბაზაზე შექმნილი ცივი და ცხელი კოქტეილები, სხვადასხვა სახეობის ყავის სასმელები, სმუზები და ტკბილეული. **მეამა ქოლექტი** არის განსხვავებული და დასამახსოვრებელი ვიზუალის მქონე ობიექტი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს უნიკალური გემოს მქონე სასმლის მოყვარულ მომხმარებელში.

მეამა შესანიშნავი გემოს ყავისა და ჩაის კაფსულების მრავალფეროვანი არჩევანით, ინოვაციური პროექტებითა და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებით ამკვიდრებს როგორც ყავის მიღების ახალ კულტურას საქართველოში, ასევე თანამედროვე მიდგომებს ტექნოლოგიებისა და მომსახურების სფეროებში.

საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მეამა მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე, სადაც კომპანიას შესაძლებლობა ეძლევა კავშირები დაამყაროს საერთაშორისო პარტნიორებთან და დამკვეთებთან.

ჯგუფის/კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია არა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოება და საერთაშორისო ბაზრებზე შეთავაზება, არამედ მთელი ეკოსისტემის შექმნა, რომელიც იქნება მოქნილი და ადაპტირებადი ბიზნესი მოდელი ნებისმიერი ქვეყნის ბაზრისთვის.

ჯგუფის პერსონალი და სამუშაო გარემო

შპს მეამაში დასაქმებულია 181 ადამიანი, შპს მეამა ქოლექტში - 57 ადამიანი. ჯგუფის/კომპანიის საკმანძოების ეფექტურად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური რესურსი. ჯგუფი/კომპანია მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების განვითარებაზე, აქტიურად აფინანსებს თანამშრომელთა ტრეინინგების ხარჯებს. მათთვის შექმნილია ეფექტური სამუშაო გარემო, შრომის კოდექსით დადგენილი ყველა პირობა მკაცრად არის დაცული და არ ირღვევა არცეთი კანონის მუხლი. თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც კანონით დადგენილი შევებულების დღეებით, ასევე ანაზღაურებადი ბიულეტენით, საჭიროების შემთხვევაში. ჯგუფი/კომპანია ასევე ზრუნავს თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე და მათ უფინანსებს ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯს.

ჯგუფში სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დაცულია გენდერული ბალანსი.

მეამა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

ჯგუფს/კომპანიას ემსახურებიან შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი კომპანიები, შენობებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტრენინგები, პერსონალი აღჭურვილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, პერიოდულად ხდება ფიზიკური ფაქტორების გაზომვა და ანალიზი, შემუშავებულია ნარჩენების მართვის გეგმა.

ჯგუფის/კომპანიის ყველა დასაქმებული დაზღვეულია სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევისგან.

2. განვითარების გეგმები

მეამას უახლოეს გეგმებში ყავისა და ჩაის კავსულების ახალი გემოები, მეამა ქოლექტის ახალი ობიექტები, კიდევ უფრო მეტი ახალი ინოვაციური პროექტი და ამ ყველაფრის საერთაშორისო ბაზარზე წარმატებით გატანაა.

მეამა საერთაშორისო მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებებს და მოქნილ საფასო პოლიტიკას. ჩვენ გვსურს დადებითი გავლენა მოვახდინოთ ბიზნეს სექტორის განვითარებაზე და ვიყოთ ადაპტირებადი სწრაფად მზარდ HORECA ინდუსტრიასთან.

მეამას ასევე აქვს სხვადასხვა ფრენჩაიზინგის შეთავაზებები, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის/კომპანიის სამ კონცეფციასზე: ბრენდულ სივრცეზე, ქოლექტზე და ელექტრონული კომერციაზე.

მეამას ყავის ექსპერტებს ასევე შეუძლიათ შექმნან ახალი ყავის ნახავი, რომელიც შეესაბამება სხვადასხვა ქვეყნის გემოვნურ თვისებებს და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მარკეტინგის გუნთან ერთად შექმნან ბრენდინგის ახალი ხაზები.

კომპანიის გეგმავს შემდეგ სამიზნე ბაზრებზე გასვლას: სპარსეთის ყურის ქვეყნები, ევროკავშირის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, იაპონია.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 6 ბრენდული სივრცე (თბილისი - 4, ქუთაისი - 1, ბათუმი - 1). მიუხედავად ამისა, ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

4. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფს/კომპანიას 2023 და 2022 წლებში არ ჩატარებია რაიმე კვლევები და მსგავსი ღონისძიებები.

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის/კომპანიის 2023 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები, კონკრეტული პუნქტების შესაბამისი თანხობრივი მონაცემები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები დეტალურად მოცემულია 2023 წლის აუდიტრებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები	34,529,451	35,338,540	34,618,643	35,529,378
მოკლევადიანი აქტივები	14,073,340	10,486,937	14,964,458	10,869,328
აკუმულირებული მოგება	(56,886,746)	(46,550,937)	(54,912,628)	(45,275,222)
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	27,692,217	-	27,692,217
მოკლევადიანი ვალდებულებები	33,827,059	4,297,037	32,833,251	3,594,551
მარაგები	10,376,392	7,338,105	9,729,804	6,874,378
კაპიტალი	71,662,478	60,387,160	71,662,478	60,387,160

მეამა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ამონაგები	14,101,692	14,921,827	12,817,287	13,301,492
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(4,726,651)	(13,216,489)	(4,367,688)	(12,788,187)
საოპერაციო ხარჯები	(16,486,232)	(18,346,581)	(14,719,813)	(16,454,150)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	(7,111,191)	(16,641,243)	(6,270,214)	(15,940,845)
წლის მთლიანი სრული ზარალი	(10,335,809)	(12,051,773)	(9,637,406)	(11,349,050)

ფინანსური კოეფიციენტები

	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლიკვიდობა*	0.42	2.44	0.46	3.02
სწრაფი ლიკვიდობა**	0.11	0.73	0.16	1.11
ROA****	(0.21)	(0.26)	(0.19)	(0.24)
Debt Ratio****	0.70	0.70	0.66	0.67

*ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება სრული მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით სრულ მოკლევადიან ვალდებულებებთან; 2023 წელს კომპანიის მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდების მაჩვენებელი (current ratio) 2022 წელთან შედარებით შემცირდა 3.02-დან 0.46-მდე, ხოლო 2023 წელს ჯგუფის მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდების მაჩვენებელი (current ratio) 2022 წელთან შედარებით შემცირდა 2.44-დან 0.42-მდე, რაც განაპირობა მიმდინარე სასესხო დავალიანებების ზრდამ.

**სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება კომპანიის მოკლევადიან აქტივებს გამოკლებული მარაგების შეფარდებით სრულ მოკლევადიან ვალდებულებებთან; 2023 წელს შემცირებულია სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტიც.

***უკუგება აქტივზე გამოითვლება (ROA) წმინდა მოგების შეფარდებით კომპანიის სრულ აქტივებთან; 2023 წელს შემცირებულია ROA, ვინაიდან ჯგუფი/კომპანია გასულია ზარალზე.

****Debt Ratio გამოითვლება ვალდებულებების აქტივებთან შეფარდებით. 2022 წელთან შედარებით 2023 წელს აღნიშნული კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

ჯგუფში შემავალი კომპანიებიდან არც ერთი არ არის სააქციო საზოგადოება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის რელევანტური ჯგუფისთვის/კომპანიისთვის.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის/კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები: ძირითადად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, პერსონალის სწრაფი ევაკუაცია.

რისკის მართვა: ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად ჯგუფს/კომპანიას ყავს ცოცხალი დაცვა, აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით.

თაღლითობის რისკი: მნიშვნელოვანი თანდაყოლილი რისკია, თაღლითობის რისკი, რომელიც უკავშირდება თაღლითური გზებით აქტივების მიტაცებას.

შემა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რისკის მართვა: კომპანიის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს აღნიშნული რისკის განეიტრალებაზე. მთავარი სტრატეგია არის:

- ეთიკური ღირებულებების განმტკიცება ჯგუფში/კომპანიაში;
- მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა;
- ფუნქცია მოვალეობების მისაღებ დონემდე დანაწილება;
- კადრების განგრძობითი სწავლების უზრუნველყოფა;

რეპუტაციული რისკი: ასევე ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც შეიძლება განვიხილოთ არის ჯგუფის/კომპანიის სახელის (ბრენდის) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება.

რისკის მართვა: ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, ჯგუფი/კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია არის დაიცვას ჯგუფი/კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი/კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2023 წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის/კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, ჯგუფში/კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, ჯგუფის/კომპანიის პოლიტიკა ეფუძნება ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 იანვარს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ირაკლი გაგუა

ფინანსური დირექტორი



სოსო ანიაშვილი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რისკის მართვა: კომპანიის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს აღნიშნული რისკის განეიტრალებაზე. მთავარი სტრატეგია არის:

- ეთიკური ღირებულებების განმტკიცება ჯგუფში/კომპანიაში;
- მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა;
- ფუნქცია მოვალეობების მისაღებ დონემდე დანაწილება;
- კადრების განგრძობითი სწავლების უზრუნველყოფა;

რეპუტაციული რისკი: ასევე ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც შეიძლება განვიხილოთ არის ჯგუფის/კომპანიის სახელის (ბრენდის) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება.

რისკის მართვა: ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, ჯგუფი/კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი/კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი/კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2023 წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის/კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, ჯგუფში/კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, ჯგუფის/კომპანიის პოლიტიკა ეფექტურია ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 იანვარს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ირაკლი გაგუა

ფინანსური დირექტორი

სოსო ანიაშვილი